ხელშეკრულება №25

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

თბილისი **17 თებერვალი 2023 წელი**

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, შპს „ვ. სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა ჰოსპიტალი" (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ამურ რევიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს "მირა" (შემდგომში „მიმწოდებელი") და მისი დირექტორის ზაზა ნიორაძის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2. შემსყიდველმა საკუთარი შემოსავლებით განახორციელა გამარტივებული შესყიდვა სახელმწიფო შემოსავლების ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის I პუნქტის ს1 ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის ა) პუნქტის შესაბამისად, ჰოსპიტლში კაბელების შესყიდვა . *cpv:* **(CPV** კოდი:**31224810)**

3. შესყიდვის ობიექტი

№	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	მთლიანი ღირებულება
1	ელ.სადენი მოქნილი 1*16	24	6.15	147.6
2	ავტომატის ყუთი	1	1.8	1.8
	ჯამი			**149.40**

4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

4.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის, ტრანსპორტირების და სხვა ხარჯების გათვალისწინებით) შეადგენს 149.40 ლარს (ას ორმოცდა ცხრა ლარი და 40 თეთრი)ლარი.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

5.2. ანგარიშსწორება მოხდება, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა ან წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად.

5.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის ხელისმოწერის დღიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში;

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მოწოდება ხდება დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად.საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის ხელისმოწერის შემდეგ.

6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირია ჰოსპიტლის ჰოსპიტლის ლოგისტიკის მენეჯერი ლერი ყიფშიძე

7. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

7.1. საქონლის მიწოდების ადგილი განისაზღვრება ტექნიკური დავალების შესაბამისად.

7.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება მოთხოვნის შესაბამისად და უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2023 წლის 15 თებერვლამდე

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1. **„შემსყიდველი“** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და ხარისხის კონტროლი.

8.1.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2. **„მიმწოდებელი“** უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდული საქონლის ანაზღაურება ხელშეკრულებით დადგენილი ვადების შესაბამისად.

8.3. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს საქონელი 2023 წლის 25 თებერვლამდე **9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

9.1. შემსყიდველის მიერ დანიშნული პირს ან/და ინსპექტირების ჯგუფს უფლება აქვთ განახორციელონ საქონლის კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მიწოდებული საქონლის რაოდენობის ან/და მოცულობის შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

9.2. ხელშეკრულების 9.1. პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს ლოჯისტიკის მენეჯერი**ლერი** ყიფშიძე

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელის მოწერის დღიდან 2023 წლის 31 მარტის ჩათვლით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და დამატების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11.3. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის

ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია 2 (ორი) კვირით ადრე.
11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
11.5. ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთი მხარის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილება.
11.6. შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.
გ) თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება.
11.7. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით შეთანხმების საფუძველზე.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოებების შედეგი.
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3. ფორს მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ დადგენილი წესით მიმართონ სასამართლოს.

14. საჯარიმო სანქციები

14.1. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელი ჯარიმის სახით შემსყიდველს უხდის ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ს.

14.2. საქონლის მიწოდების ვადების შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2 %-ს.

14.3. თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული ჯარიმის ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეებს ვალდებულებების შესრულებისგან.

15. სხვა პირობები და მხარეთა რეკვიზიტები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

15.2. ორივე დოკუმენტს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ერთი პირი ინახება შემსყიდველთან, მეორე მიმწოდებელთან.

„შემსყიდველი“	**“მიმწოდებელი”**
შ.პ.ს “ვ. სანიკიძის სახელობის ომის	შპს “მირა”
ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალი“	ს/კ 202218698
ს/კ 202054908	მის: თბილისი,წერეთლის 126
მის: თბილისი, სპირიდონ კედიას №7	ს/ს საქართველოს ბანკი
ს/ს „თიბისი ბანკი“	ბანკის კოდი:
ბანკის კოდი: TBC ბ ა ნ კ ი	ა /ა GE84BG0000000146378700
ა/ა/ GE21TB7005336020100004	

დირექტორი: ამურ რევიშვილი

V.Sanikidze War Veterans Clinical Hospital ltd

Digitally signed by V.Sanikidze War Veterans Clinical Hospital ltd
Date: 2023.02.17 13:43:57 +04'00'

დირექტორი: ზაზა ნიორაძე

Zaza Nioradze 54001003889

Digitally signed by Zaza Nioradze
Date: 2023.02.17 13:48:48